19/11/2024

MES 7 24 0001488717

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.11.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:45 სთ
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (I)
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (II, III, IV)
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მეცამეტე პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. დავით ტეფნაძე - შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
12. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
13. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
14. დიანა მჭედლიშვილი –შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
16. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) წარმომადგენლები:
თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.
რუსუდან ქუთათელაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.
ნინო ჩიკვილაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის (სამწლიანი) ხელმძღვანელი.
თათია ღურწკაია - „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
თეიმურაზ ყანდაშვილი - „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
ირინე იაშვილი - „ბიზნესის ადმინისტრირების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის და „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის (სამწლიანი) ხელმძღვანელი.
ნათია შენგელია - „ბიზნესის ადმინისტრირების“ მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის (ერთწლიანი) ხელმძღვანელი.
მედეა ჭელიძე - „ბიზნესის ადმინისტრირების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (ერთწლიანი) ხელმძღვანელი.

მერაბ მიქელაშვილი - „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
ანზორ აბრალავა, პროფესორი.
გიორგი ბაღათურია - პროფესორი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
ლილი ხეჩუაშვილი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ვლადიმერ გამსახურია - პროგრამის ხელმძღვანელი
დარეჯან გარდავაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მარინე ალექსიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები:
გეორგ ქუფი - I საკითხი
ეკა ლეკაშვილი - I საკითხი
თეა კასრაძე - I საკითხი
ბექა მარუაშვილი - I საკითხი
თინათინ გაბრიჩიძე - I საკითხი
გიორგი მერაბიშვილი - I საკითხი
შელ ივარ ოვერგორდი - II საკითხი
ფლორა ესებუა - II საკითხი
ნინო სანადირაძე - II საკითხი
თამთა ცხოვრებაძე - II საკითხი
ლიანა ზაგაშვილი - II საკითხი
ქეთევან სვანიძე - III საკითხი
ირინა ლობჟანიძე - IV საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პირველ საკითხს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, ხოლო მე-2, მე-3 და მე-4 საკითხებს, საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" კლასტერის („ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო რუსულენოვანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო ინგლისურენოვანი (180 კრედიტიანი), „ბიზნესის

ადმინისტრირების“ სამაგისტრო ერთწლიანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო ინგლისურენოვანი ერთწლიანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო ინგლისურენოვანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „რუსული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" კლასტერის („ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო რუსულენოვანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო ინგლისურენოვანი (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო ერთწლიანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო ინგლისურენოვანი ერთწლიანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო ინგლისურენოვანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" კლასტერის („ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო რუსულენოვანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო ინგლისურენოვანი (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო ერთწლიანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო

ინგლისურენოვანი ერთწლიანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო ინგლისურენოვანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - ბაკალავრიატი
კრედიტი - 240
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

პროგრამა 2:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - ბაკალავრიატი
კრედიტი - 240
სწავლების ენა - რუსული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

პროგრამა 3:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - ბაკალავრიატი
კრედიტი - 180
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

პროგრამა 4:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - ბაკალავრიატი
კრედიტი - 180
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

პროგრამა 5:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
კრედიტი - 65
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

პროგრამა 6:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
კრედიტი - 65

სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

პროგრამა 7:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
კრედიტი - 120
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრ
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

პროგრამა 8:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - დოქტორანტურა
კრედიტი - 40
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პირველ საკითხს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, გეორგ ქუფი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა ინფორმაციის გაზიარებიდან გამომდინარე პროგრამების შეფასება პროცესუალურად მარტივი იყო. მისი თქმით, ყველა პროგრამა შეესაბამებოდა

მოთხოვნებს, თუმცა არსებობდა მცირე რაოდენობის შენიშვნები. სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების მიმართ რეკომენდებული იყო ნაშრომებში მეთოდოლოგიის უფრო მკვეთრად გამოხატვა. ასევე სტუდენტების მეტად ჩართვა სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხების მეტად გამოყენებას კურსებში. მან აღნიშნა, რომ რეკომენდებული იყო არჩევითი კურსების გაზრდა და შესაძლებლობების შემთხვევაში სხვა პროგრამებიდან კურსების არჩევის შესაძლებლობის დამატება. ასვე რეკომენდებული იყო არჩევითი კურსების გაზრდისა და შესაძლებლობის შემთხვევაში სხვა პროგრამებიდან კურსების არჩევის შესაძლებლობის დამატება. მისი თქმით, სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია საკმაოდ მოძველებული სახელმძღვანელოები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დავით მახვილაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა პროგრამების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები გაიზიარა. ლიტერატურის განახლებასა და სადისერტაციო ნაშრომებში მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით პრობლემა აღმოიფხვრა. სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებული შენიშვნა ძირითადად ეხებოდა წინა წლებში დაცულ დისერტაციებს. საბოლოო ჯამში ექსპერტები დარწმუნდნენ იმაში, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მიზნით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ვისზე იყო გათვლილი „ბიზნეს ადმინისტრირების“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამა. მისი თქმით, აღნიშნულ პროგრამაში შესამჩნევია ის, რომ ერთი ადამიანი რამდენიმე სასწავლო დისციპლინას ასწავლის. მას აინტერესებდა, ასეთ შემთხვევაში პროგრამა ხომ არ დგებოდა საფრთხის ქვეშ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ „ბიზნეს ადმინისტრირების“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ძირითადად გათვლილია უკრაინელ და რუსს სტუდენტებზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა ძირითადად ეხებოდა არა უცხოურ, არამედ ქართულ შრომის ბაზარს. მისი თქმით, ერთი ადამიანი რამდენიმე სილაბუსში წარმოდგენილია მხოლოდ სილაბუსის თანავტორად. პროგრამა აკადემიური პერსონალის კუთხით მდგრადია.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან და ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამის მიმართ გაცემული იყო შემდეგი რჩევა: „სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ბიზნეს ინგლისურის კურსი, რაც პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ და გააანალიზონ დარგის თანამედროვე, ინგლისურენოვანი ლიტერატურა და შევიდნენ გლობალურ ბიზნეს სამყაროში“. მას აინტერესებდა, რამდენად საჭირო იყო აღნიშნული სასწავლო კურსის ინტეგრირება იმ პროგრამაში, რომელიც მოიცავდა ინგლისურენოვან სასწავლო კურსებს. აღმასრულებელი ბიზნესის პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტრუქტურა მიუთითებდა იმაზე, რომ პროგრამებს წინაპირობები არ გააჩნიათ. სასწავლო კურსები დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ, რაც მისასალმებელია. იმ შემთხვევაში თუ ვერ იქნება პირველ სემესტრში დაძლეული გარკვეული კურსი, სტუდენტი იძულებულია აირჩიოს წინაპირობების გარეშე არსებული სასწავლო კურსი. მაგალითად, „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ სასწავლო კურსს სჭირდება ისეთი მწირი თეორიული კურსის გავლა, როგორიც პირველ სემესტრში

„კორპორაციული ფინანსების“ სახით არსებობს. მას აინტერესებდა, კარგი იქნებოდა თუ არა წინაპირობების განსაზღვრა „ფინანსებისა“ და „მარკეტინგის“ სფეროს სასწავლო კურსებში.
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ აბიტურიენტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისას მოწმდება ინგლისური ენის ცოდნის დონე. გარკვეულ კორექტირებას საჭიროებდა ის ჩანაწერი, რომელიც გასაუბრება ტესტირებასთან გაიგივებული იყო. უნივერსიტეტი წერითი ფორმით ახორციელებს გამოკითხვას და ისე აზუსტებს უცხო ენის ცოდნის დონეს. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს სურვილი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი ხელს შეუწყობდა ისეთ სტუდენტს ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებაში, რომელიც ამას საჭიროებდა.
ექსპერტმა თეა კასრაძემ ფინანსურ დისციპლინებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღმასრულებელი პროგრამის სტატუსიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა თავი შეიკავა რეკომენდაციების გაცემისაგან. „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ საგანთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ მოცემული დისციპლინა სტუდენტს შეთავაზებული ჰქონოდა არა სავალდებულო, არამედ არჩევითი კურსის სახით. მაშინ, როდესაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ღიაა, შეუძლებელია ასეთი კურსის შეთავაზება სავალდებულო სტატუსით სტუდენტისათვის, რადგან ეს საგანი მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას. მაგალითად, თუ ჰუმანიტარული მიმართულების აპლიკანტი ჩაირიცხება ამ პროგრამაზე, მაშინ ის ვერ დაძლევს მოცემულ საგანს.
დაწესებულების მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტმა ეკა კასრაძემ გასცა ის პასუხი, რომელიც დაწესებულებას უნდა გაეცა. შესაბამისად, უნივერსიტეტი ვერაფერს ვერ დაამატებდა.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, რამდენიმე პროგრამის კომპონენტში გაცემული იყო რეკომენდაცია, თუმცა სტანდარტი შეფასდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი.
ექსპერტმა თეა კასრაძემ აღნიშნა, რომ ეს შეიძლება ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სილაბუსებში მითითებული იყო ლიტერატურა, თუმცა არა თემატიკასთან მიმართებით. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.
სადოქტორო პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამების შედეგები ჩამოყალიბებული იყო საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. მისი თქმით, მეოთხე შედეგში ეწერა, რომ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეეძლო დაეგეგმა კვლევები ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. მას აინტერესებდა, დაგეგმვის გარდა ახორციელებდა თუ არა აკადემიური დოქტორის ხარისხის მქონე პირი კვლევას. ასევე იყო თუ არა გამოსაკვეთი ის უნარები და კომპეტენციები აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაში, რომლის დამთავრების შემდეგადაც კურსდამთავრებული შეიძენდა.
დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ პროფესორი როგორც ლიტერატურის თემატიკასთან, ისე გვერდების მითითების ნაწილში თავისუფალი იყო. შესაბამისად, ამას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რჩევის და არა რეკომენდაციის სახე. მეოთხე შედეგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული შედეგის შემუშავებისას იხელმძღვანელა დარგობრივი მახასიათებლით. უნივერსიტეტს არ ჰქონდა იმისი შესაძლებლობა, რომ ამ შედეგში ბევრი რამე ჩაეწერა. დაწესებულება აღნიშნულ შენიშვნებს აუცილებლად გაითვალისწინებს.
სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას ინფორმაციის დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის გაძლიერებას. მას აინტერესებდა, იყო თუ არა დაგეგმილი კონკრეტული საჭიროებების მიხედვით პროგრამული უზრუნველყოფების შეძენა და შეთავაზება სტუდენტისათვის უნივერსიტეტის მხრიდან კვლევის პროცესში. მისი თქმით, ბოლო პერიოდში ძალიან ფართო გამოყენება ჰპოვა ხელოვნურმა ინტელექტმა

საგანმანათლებლო სივრცეში. მას აინტერესებდა, დაწესებულებაში როგორ ხდებოდა ხელოვნური ინტელექტის დეტექცია.
დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება დაეთანხმა. ფაკულტეტზე არსებობს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც გარკვეული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ოფიციალური პროგრამები არის დაინსტალირებული. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჰყავს სპეციალისტები, რომლებიც ინდივიდუალურად და ჯგუფურად სთავაზობენ ყველა საფეხურის სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ტრენინგის გავლას. ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტი ჯერ დაკვირვების პროცესშია, კერძოდ, სხვა დაწესებულებები რას მოიმოქმედებდნენ ამ კუთხით. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოყენებული უნდა იყოს სწავლებისა და კვლევის პროცესში. პრობლემა დგას იმაში თუ როდის ირღვევა უფლება და სად აქვს ხელოვნურ ინტელექტს საზღვრები. შესაბამისად, ამ საკითხზე უნივერსიტეტი მუშაობს ინტენსიურად და ასე გააგრძელებს მომავალშიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:02
დასრულების დრო: 15:20

პროგრამა 1:

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამა 2:
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამა 3:
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამა 4:
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამა 5:
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (65 კრედიტიანი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (65 კრედიტიანი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

პროგრამა 6:

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (65 კრედიტიანი, ქართულენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (65 კრედიტიანი, ქართულენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

პროგრამა 7:
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამა 8:
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება):

1.4 კომპონენტი
• რეკომენდებულია, დაზუსტდეს შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები.

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, შესწორდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
• სემინარებს რამდენიმე სასწავლო კურსში უნდა დაემატოს პრაქტიკული მეცადინეობები, რათა განვითარდეს სწავლის შედეგებში გაწერილი პრაქტიკული უნარები.
• დარგის უახლესი მიღწევების ასახვის და სტუდენტებისთვის უახლესი ცოდნის მიწოდების მიზნით რეკომენდებულია, საჭირო ლიტერატურის განახლება.
რეკომენდებულია, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის გაძლიერება საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას.

პროგრამა 2. (საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (რუსულენოვანი))

1.1 კომპონენტი
რეკომენდებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა, განსაკუთრებით რუსულენოვან პროგრამასთან მიმართებით.

1.4 კომპონენტი
• რეკომენდებულია, დაზუსტდეს შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები
• რეკომენდებულია, არჩევითი საგნების კომპონენტის გამრავალფეროვნება.

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, შესწორდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მეთოდები და კრიტერიუმები, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
• სემინარებს რამდენიმე სასწავლო კურსში უნდა დაემატოს პრაქტიკული მეცადინეობები, რათა განვითარდეს სწავლის შედეგებში გაწერილი პრაქტიკული უნარები.
• დარგის უახლესი მიღწევების ასახვის და სტუდენტებისთვის უახლესი ცოდნის მიწოდების მიზნით რეკომენდებულია, საჭირო ლიტერატურის განახლება.

2.2 კომპონენტი
• რეკომენდებულია, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის გაძლიერება საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას.

პროგამა 3 (საბაკალავრო პროგრამა: ბიზენსის ადმინისტრირება (180 კრედიტი)):

1.4 კომპონენტი
• რეკომენდებულია, დაზუსტდეს შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, შესწორდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მეთოდები და კრიტერიუმები, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
• სემინარებს რამდენიმე სასწავლო კურსში უნდა დაემატოს პრაქტიკული მეცადინეობები, რათა განვითარდეს სწავლის შედეგებში გაწერილი პრაქტიკული უნარები.
• დარგის უახლესი მიღწევების ასახვის და სტუდენტებისთვის უახლესი ცოდნის მიწოდების მიზნით რეკომენდებულია, საჭირო ლიტერატურის განახლება.

პროგრამა 4 (საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტი))

1.4 კომპონენტი
• რეკომენდებულია, დაზუსტდეს შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, შესწორდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მეთოდები და კრიტერიუმები, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
• სემინარებს რამდენიმე სასწავლო კურსში უნდა დაემატოს პრაქტიკული მეცადინეობები, რათა განვითარდეს სწავლის შედეგებში გაწერილი პრაქტიკული უნარები.
• დარგის უახლესი მიღწევების ასახვის და სტუდენტებისთვის უახლესი ცოდნის მიწოდების მიზნით რეკომენდებულია, საჭირო ლიტერატურის განახლება.

პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (60 კრედიტი)

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსები უფრო მეტად ორიენტირებული იყოს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იყოს უფრო მეტი პრაქტიკული კომპონენტი. სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს ინფორმაციული ტექნოლოგიები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ეს უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ შესაბამის დარგებში ყველაზე რელევანტური და უახლესი განათლების მიღებას
• ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი მოითხოვს განახლებას სამაგისტრო დონის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით.

2.1 კომპონენტი
• რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობების შეცვლა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის N72/6 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა 6 (სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი, 60 კრედიტი)

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსები უფრო მეტად ორიენტირებული იყოს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იყოს უფრო მეტი პრაქტიკული კომპონენტი. სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს ინფორმაციული ტექნოლოგიები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ, შესაბამის დარგებში ყველაზე რელევანტური და უახლესი განათლების მიღებას.
• ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი მოითხოვს განახლებას სამაგისტრო დონის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით.

2.1 კომპონენტი
• რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობების შეცვლა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის N72/6 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა 7 (სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)

1.4 კომპონენტი
• რეკომენდებულია, დაზუსტდეს შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები
• რეკომენდებულია, პროგრამის არჩევითი კურსების კომპონენტის კრედიტების რაოდენობის გაზრდა და სტუდენტებისთვის მეტი არჩევითი საგნების შეთავაზება.
• რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო საგნად დაემატოს აკადემიური წერის კურსი.
• რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებული თანამედროვე კონცეფციების, თეორიების, მიდგომების და მოდელების სიღრმისეულ ცოდნას და რომელიც იქნება მენეჯმენტის მიმართულების სხვადასხვა სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა.

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსები უფრო მეტად ორიენტირებული იყოს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იყოს უფრო მეტი პრაქტიკული კომპონენტი. სასწავლო პროცესში

გამოყენებული იყოს ინფორმაციული ტექნოლოგიები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ შესაბამის დარგებში ყველაზე რელევანტური და უახლესი განათლების მიღებას.
• ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი მოითხოვს განახლებას სამაგისტრო დონის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით.

2.2 კომპონენტი
• რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების დამუშავებისას გაძლიერდეს
თეორიულ-მეთოდოლოგიური ნაწილის კრიტიკული ანალიზი.

პროგრამა 8 (სადოქტორო საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირება)

1.4 კომპონენტი
• რეკომედებულია, კვლევის მეთოდები ბიზნესის ადმინისტრირებაში ისწავლებოდეს პირველ სემესტრში და წარმოადგენდეს სადოქტორო კვლევის პირველ ეტაპზე (პროსპექტუსი) მიღების წინაპირობას.

1.5 კომპონენტი
• რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები (შუალედური და დასკვნითი გამოცდის, ასევე მიმდინარე აქტივობების შეფასების მეთოდები) შეიცვალოს კვლევის დონის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით;
• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს სტუდენტის პრაქტიკული, კვლევის და ანალიზის უნარები პროგრამის სასწავლო კურსებში კვლევის და ანალიზის კომპონენტების შესაბამისად.
• რეკომენდებულია, განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი დოქტორანტურის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;
• დარგის უახლესი მიღწევების ასახვის და სტუდენტებისთვის უახლესი ცოდნის მიწოდების მიზნით რეკომენდებულია, საჭირო ლიტერატურის განახლება.

2.2 კომპონენტი
• რეკომენდებულია, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას გაძლიერდეს ინფორმაციის დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა.

რჩევები:
კლასტერი:

1.2 კომპონენტი
• სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შედარება უცხოური და ადგილობრივი წამყვანი უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგებთან, რაც დაწესებულებას მისცემს საშუალებას გაითვალისწინოს საუკეთესო პრაქტიკა. აღნიშნული, ხელ შეუწყობს პროგრამებზე მოთხოვნის გაზრდას, მათ სტაბილურობას და დინამიურობას და ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ბიზნესის ადმინისტრირების დარგში შესაბამისი ცოდნით და უნარებით.

1.3 კომპონენტი
• სასურველია, მექანიზმში დაინერგოს არაპირდაპირი მეთოდებიც, რომლებიც მორგებული იქნება სწავლის თითოეულ შედეგზე. ეს პროგრამის სწავლის შედეგების გეგმას და მექანიზმს გახდის უფრო კონკრეტულს, დეტალურს და ყოვლისმომცველს.

• სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზში გათვალისწინებული იყოს შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების ანალიზი. სასურველია, რუკების სისტემატიზაცია, იმისათვის რომ მოიცვას კონკრეტული შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები, რაც ხელ შეუწყობს პროცესს, როგორც ეს ასახულია ცალკე რჩევაში.

2.2 კომპონენტი
• სასურველია, დაწესებულებამ შესაბამისი შედეგების უზრუნველყოფის მიზნით გააძლიეროს პრაქტიკული კომპონენტები.

5.3 კომპონენტი
• სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველოს ფოკუს - ჯგუფების ფორმალიზება, ინტერვიუს განხორციელება შესაბამისი დოკუმენტაციის და ფორმალური ანალიზის გამოყენებით (მაგ. დაოქმება, ანალიზი).

პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება)

2.1 კომპონენტი
• სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში აისახოს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე მიღების და შიდა და გარე მობილობის პროცედურები. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება პერსპექტიულ სტუდენტებს მისცემს პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობას.

3.1 კომპონენტი
• სასურველია, უნივერსიტეტმა აქტიურად წაახალისოს ბაკალავრიატის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (რუსულენოვანი)

2.1 კომპონენტი
• სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში აისახოს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე მიღების და შიდა და გარე მობილობის პროცედურები. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება პერსპექტიულ სტუდენტებს მისცემს პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობას.

3.1 კომპონენტი
• სასურველია, უნივერსიტეტმა აქტიურად წაახალისოს ბაკალავრიატის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

პროგრამა 3 (საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (180 კრედიტი)

2.1 კომპონენტი
• სასურველია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაზუსტდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნები. გარდა ამისა, წინაპირობები უნდა მოიცავდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე მიღების და შიდა და გარე მობილობის პროცედურებს. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება პერსპექტიულ სტუდენტებსმისცემს პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობას.

3.1 კომპონენტი

• სასურველია, უნივერსიტეტმა აქტიურად წაახალისოს ბაკალავრიატის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

პროგრამა 4 (საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტი)

2.1 კომპონენტი
• სასურველია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაზუსტდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნები. გარდა ამისა, წინაპირობები უნდა მოიცავდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე მიღების და შიდა და გარე მობილობის პროცედურებს. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება პერსპექტიულ სტუდენტებს მისცემს პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობას.

3.1 კომპონენტი
• სასურველია, უნივერსიტეტმა აქტიურად წაახალისოს ბაკალავრიატის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (60 კრედიტი)

1.4 კომპონენტი
• აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) სასწავლო კურსი წინაპირობის სახით სტუდენტისგან მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, რაც ართულებს კურსის დასრულებას. ექსპერტების მოსაზრებით, სასურველია, კურსის გადატანა პროგრამის სავალდებულო საგნების კომპონენტიდან არჩევით საგნების კომპონენტში.

1.5 კომპონენტი
• სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ბიზნეს ინგლისურის კურსი. აღნიშნული, პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ და გააანალიზონ დარგის თანამედროვე, ინგლისურენოვანი ლიტერატურა და შევიდნენ გლობალურ ბიზნეს სამყაროში.

2.1 კომპონენტი
• დაშვების წინაპირობები უნდა მოიცავდეს შიდა და გარე მობილობის პროცედურებს. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება პერსპექტიულ სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას ჩაერთონ პროგრამაში.

3.2 კომპონენტი
• სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების სამეცნიერო - კვლევითი ინსტრუმენტები და აკადემიური წერის უნარები, აკადემიური სტილი, წყაროს გადამოწმება და ბიბლიოგრაფიის შესრულება.

პროგრამა 6 (სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი 60 კრედიტი)

1.4 კომპონენტი
• აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) სასწავლო კურსი, წინაპირობის სახით სტუდენტისგან მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, რაც ართულებს კურსის დასრულებას. ექსპერტების მოსაზრებით, სასურველია, კურსის გადატანა პროგრამის სავალდებულო საგნებიდან არჩევით საგნების კომპონენტში.

1.5 კომპონენტი
• სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ბიზნეს ინგლისურის კურსი, რაც პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ და გააანალიზონ დარგის თანამედროვე, ინგლისურენოვანი ლიტერატურა და შევიდნენ გლობალურ ბიზნეს სამყაროში.

2.1 კომპონენტი
• დაშვების წინაპირობები უნდა მოიცავდეს შიდა და გარე მობილობის პროცედურებს. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება პერსპექტიულ სტუდენტებს მისცემს პროგრამაში ჩარიცხვის შესაძლებლობას.

3.2 კომპონენტი
• სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების სამეცნიერო - კვლევითი ინსტრუმენტები და აკადემიური წერის უნარები, აკადემიური სტილი, წყაროს გადამოწმება და ბიბლიოგრაფიის შესრულება.

პროგრამა 7 (სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)

1.5 კომპონენტი
• სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ბიზნეს ინგლისურის კურსი, რაც პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ და გააანალიზონ დარგის თანამედროვე, ინგლისურენოვანი ლიტერატურა და შევიდნენ გლობალურ ბიზნეს სამყაროში.

2.1 კომპონენტი
• აუცილებელია ვებ მისამართის გადამოწმება, ვინაიდან თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ბმული გადადის საბაკალავრო პროგრამების გვერდზე: https://gtu.ge/en/apply/bachelor.php.
• დაშვების წინაპირობები უნდა მოიცავდეს შიდა და გარე მობილობის პროცედურებს. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება პერსპექტიულ სტუდენტებს მისცემს პროგრამაში ჩარიცხვის შესაძლებლობას.

3.2 კომპონენტი
• სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების სამეცნიერო - კვლევითი ინსტრუმენტები და აკადემიური წერის უნარები, აკადემიური სტილი, წყაროს გადამოწმება და ბიბლიოგრაფიის შესრულება.

პროგრამა 8 (სადოქტორო: ბიზნესის ადმინისტრირება)

1.3 კომპონენტი
• სასურველია, უნივერსიტეტმა შეასწოროს ტექნიკური შეცდომა სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში.

1.4 კომპონენტი
• კვლევის კლასიკურ მეთოდოლოგიასთან ერთად, სასურველი იქნებოდა ტექნოლოგიების ჩართვა კვლევის პროცესში. სადოქტორო დისერტაციების კვლევის ხარისხი შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ დაწესებულება სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას შეისწავლონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები პროგრამის მიღმა.

• სასურველია, პროგრამის არჩევითი კურსების ჩამონათვალს დაემატოს აკადემიური წერა.

2.1 კომპონენტი
• უნივერსიტეტის პროგრამის აღწერაში ფიქსირდება ტექნიკური შეცდომები (მაგ. მითითებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროზე), რომელიც საჭიროებს გამოსწორებას.

3.2 კომპონენტი
• სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების სამეცნიერო - კვლევითი ინსტრუმენტები და აკადემიური წერის უნარები, აკადემიური სტილი, წყაროს გადამოწმება და ბიბლიოგრაფიის შესრულება.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები
საფეხური - დოქტორანტურა
სწავლების ენა - ინგლისური
კრედიტი - 50
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების დოქტორი
დეტალური სფეროს კოდი - 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, შელ ივარ ოვერგორდი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 24 აპრილს ჩატარდა ერთდღიანი ვიზიტი უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ყველა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ, ადმინისტრაციას, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს. საბოლოო ჯამში პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად, ხოლო დანარჩენი ყველა სტანდარტი სრულად შესაბამისობაში აკრედიტაციის მოთხოვნებთან. მისი თქმით, დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა რიგი რეკომენდაციები. შესაბამისად, ეს ფაქტი მნიშვნელოვანი უნდა იყოს აკრედიტაციის საბჭოსთვის მაშინ, როდესაც ის მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მან აღნიშნა, რომ 1.1. კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის აღწერაში სადოქტორო პროგრამის საზოგადოებრივი წვლილის გათვალისწინებას, რომელიც გამომდინარეობდა აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან. 1.4 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაცია იყო, რომ სასწავლო კურსების ჩამონათვალში ინტეგრირებული ყოფილიყო ისეთი კურსი, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა მიგრაციის კვლევების საკითხებზე. რეკომენდაციის გაცემის საფუძველი იყო ის, რომ ვიზიტის პერიოდში პროგრამაზე მიგრაციაზე ფოკუსირებული კურსი არ არსებობდა, თუმცა როგორც დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განაცხადა, მიმდინარეობდა მუშაობა ასეთი კურსის შემუშავების საკითხზე. 1.5 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების სტრუქტურირებას უნარების, ცოდნისა და დამოუკიდებლობა პასუხისმგებლობის მიხედვით. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ამ რეკომენდაციის გათვალისწინებაზე უკვე დაწყებულია მუშაობა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს ინფორმაცია მოწოდებული იქნა ვიზიტის შემდეგ, ეს ფაქტი ვერ იქნებოდა მიღებული. მისი თქმით, 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაცია ეხებოდა კვლევის მეთოდების კურსის ისე მოდიფიცირებას, რომ შესაბამისი ყოფილიყო როგორც შედარებით საბაზისო დონეზე მცოდნე სტუდენტების კომპეტენციებთან, ისე მაღალი უნარების მქონე სტუდენტების მოთხოვნილებებთან ამ მიმართულებით. შელ ივარ ოვერგორდიმ დამატებით კომენტარი გააკეთა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ხაზი ხაზი გაუსვა იმას, რომ რიგი ცვლილებები განხორციელდა 1.1 კომპონენტთან დაკავშირებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მოთხოვნები დაკმაყოფილდა. 1.4 კომპონენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა მიგრაციის კვლევებთან დაკავშირებული კურსი, რომელიც გაეგზავნა შესაბამის კომიტეტს დასამტკიცებლად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ კურსის შინაარსზე ემსჯელა, რადგან ცვლილებები დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომ განხორციელდა. 1.5 კომპონენტთა დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაწესებულებამ დაალაგა სწავლის შედეგები იმ სახით, როგორც რეკომენდაციით იყო მოთხოვნილი. ეს რეკომენდაცია იყო უფრო ტექნიკური, ვიდრე ღრმა შინაარსობრივი ხასიათის. ამრიგად, ცვლილებების შესახებ ინფორმაცია რომ წარმოდგენილი ყოფილიყო ვიზიტის დროს, კარგი იქნებოდა, რადგან ყველა სტანდარტი „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ლილი ხეჩუაშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. 1.1. ქვესტანდარტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ

უნივერსიტეტმა შეასრულა რეკომენდაცია, რომლის შესრულების ფაქტიც საერთაშორისო ექსპერტმა დაადასტურა. 1.4 ქვესტანდარტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ექსპერტები დაწესებულებაში იმყოფებოდნენ, სამი თვე იყო გასული და ამ სამი თვის განმავლობაში უნივერსიტეტი ინტენსიურად მუშაობდა სასწავლო კურსების ჩამონათვალში მიგრაციის კვლევების თემის შესახებ კურსის დამატების მიზნით. შესაბამისად, შემუშავდა ეს კურსი და დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე. რაც შეეხება კვლევის თემების არეალის გაფართოებას გამრავალფეროვნების მიზნით, სავარაუდო თემების არსებული ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა და არც ერთი მათგანი არ არის შეზღუდული ქართული კონტექსტით, ხოლო კვლევის თემების ჩამონათვალი არ შემოიფარგლება აღნიშნული ჩამონათვალით. 1.5 ქვესტანდარტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ სწავლის შედეგები დააჯგუფა იმ სახით, როგორც ეს რეკომენდაციით იყო მოთხოვნილი. 2.2 ქვესტანდარტში არსებულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ „ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსი ისეა აწყობილი, რომ ფარავს ყველაზე ბაზისური ცოდნის საკითხებს. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა მულტიდისციპლინურია, კურსში შეტანილია მრავლისმომცველი საკითხები. ამრიგად, კურსის შინაარსი უკვე აკმაყოფილებს იმ სტანდარტს, რაც რეკომენდაციაში მოთხოვნის სახით იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ იშვიათად შეხვედრია ასეთი გამართული პროგრამა. მისი თქმით, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესოდ შექმნილი პროგრამა როგორც შინაარსით, ისე სილაბუსებით. მან წარმატება უსურვა როგორც პროგრამის ხელმძღვანელს, ისე განმახორციელებელ პერსონალს.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დოქტორანტის მინიმალური სტანდარტის დებულებაში მოცემული იყო შემდეგი: „დოქტორანტს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე, თუმცა თუ დოქტორანტი სამეცნიერო ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს, მაშინ სავალდებულო მოთხოვნა არის C1”. მას აინტერესებდა, ეს მოთხოვნა რამდენად იყო ასახული პროგრამის წინაპირობაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ეს პროგრამა ინგლისურენოვანია და გათვლილია ინგლისურენოვან აპლიკანტებზე, იგულისხმება, რომ ენის მოთხოვნაც რეგულაციის შესაბამისია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:48
დასრულების დრო: 15:59
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით (31/12/2028) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბერამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტი
რეკომენდებულია, პროგრამის აღწერაში გათვალისწინებული იყოს სადოქტორო პროგრამის საზოგადოებრივი წვლილი.

1.4 კომპონენტი
რეკომენდებულია სასწავლო კურსების ჩამონათვალში იმ კურსის შეტანა, რომელიც სიღრმისეულად შეასწავლის მიგრაციის კვლევების საკითხებს.
• რეკომენდებულია პროგრამის განვითარების გეგმის გადახედვა, იმ საკვლევი თემების უფრო მრავალფეროვანი სპექტრის მოსაცავად , რომლებიც ეხმიანებიან გლობალურ აუდიტორიას.

2.2 კომპონენტი
• რეკომენდებულია ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის კურსის იმგვარი მოდიფიცირება, რომ ერთდროულად მიესადაგოს ყველა სტუდენტის, როგორც ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის საბაზისო ცოდნის , ასევე კვლევის სფეროში მოწინავე ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სტუდენტების მოთხოვნას.

რჩევები:

1.5 კომპონენტი
რეკომენდებულია ცვლილებების შეტანა პროგრამისა და კურსების გეგმებში, რათა სწავლის ყველა შედეგი სტრუქტურირებული იყოს შემდეგი დასახელებების მიხედვით; ,,უნარები", ,,ცოდნა" და ,,დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა"

2.1 კომპონენტი
სასურველია პროგრამის დაშვების წინაპირობები დაიხვეწოს საუნივერსიტეტო რეგულაციებთან მიმართებით

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - რუსული ფილოლოგია
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0231 ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ქეთევან სვანიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, აკრედიტაციის კომისიის მიერ სუსტი მხარეების შეფასების საფუძველზე პროგრამის მიმართ გაცემული იყო ექვსი რეკომენდაცია და თორმეტი რჩევა. მისი თქმით, ექვსი რეკომენდაციიდან ოთხი რეკომენდაცია ეხებოდა აღნიშნული პროგრამის მეტწილად შესაბამისობას პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო დარჩენილი ორი რეკომენდაციიდან ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლების მეთოდოლოგიას და ორგანიზებას, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სწავლა-სწავლების მეთოდებს. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს დასკვნის თანახმად პირველ სტანდარტში პროგრამას მიენიჭა მეტწილად შესაბამისობა, ხოლო დანარჩენ ოთხ სტანდარტში სრული შესაბამისობა მოთხოვნებთან. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვას, რათა შედეგები სრულყოფილად პასუხობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და მიღწევადობას. მისი თქმით, წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „რუსული ფილოლოგია“ სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მონაცემების შეგროვება დაიწყო პროგრამის ამოქმედების და მასზე ახალი სტუდენტური კონტინგენტის მიღების, 2023 -2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან და გაგრძელდა პროგრამის კურსდამთავრებულთა პირველ გამოშვებამდე. შესაბამისად, სამიზნე ნიშნულების მიღწევის მაჩვენებლის შეფასება მოხდება პროგრამის I-VIII სემესტრების კურსებიდან,

2026-2027 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. 2023 -2024 სასწავლო წლის მონაცემების გათვალისწინებით შეტანილი გარკვეული კორექტივები ასახული იქნა სწავლის შედეგების შეფასების რუკაში, რომელიც წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტებში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა შეასრულა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სახელმძღვანელოთა ნაწილის გადახედვას, მოძველებული სახელმძღვანელოების ჩანაცვლებას, ზოგ შემთხვევაში კი სახელმძღვანელოს დამატებას, რომელიც უკეთ იქნება მორგებული კურსის სპეციფიკას. ასევე უნდა გადამოწმებულიყო ყველა იმ ელექტრონული ბმულის ვალიდურობა, რომელიც სილაბუსებში იყო წარმოდგენილი. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად, ჩაატარა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის გადახედვა და განაახლა ლიტერატურა როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებში. სტუდენტისთვის სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული თუ პროფესიულად საჭირო და გამოსადეგი ლიტერატურის მოძებნა შესაძლებელია ელექტრონული კატალოგებით საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ვებგვერდებზე. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა „რუსული ენიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ სასწავლო კურსის სილაბუსი გამდიდრებას სტუდენტების მთარგმნელობითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების მეთოდიკითა და შინაარსით. ქეთევან სვანიძის თქმით, აღნიშნული სასწავლო კურსის კრიტიკული რევიზია და მისი შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა განხორციელდა „რუსული ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან, უფრო კონკრეტულად, განისაზღვრა სასპეციალიზაციო ენიდან სათარგმნი ტექსტების ჩართვა პრაქტიკის ნაწილში. ტექსტების ენობრივი სირთულისა და სტუდენტის მიერ ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება და ჩამოყალიბდა, როგორც „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ (ნაცვლად „რუსული ენიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკისა“). აღნიშნულმა ასახვა პოვა წარმოდგენილ სილაბუსში. შესაბამისად, დაწესებულებმა მოცემული რეკომენდაცია შეასრულა. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსებში მოცემული დავალებების, პრეზენტაციების, საგამოცდო თეორიული საკითხების ზუსტი და მკაფიო ფორმულირებას, რათა ნათლად გამოჩენილიყო შეფასების კომპონენტის კავშირი სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. მან აღნიშნა, რომ „რუსული ფილოლოგიის“ პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში ინტერაქციასა და სტუდენტთა სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობაზე მიმართული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გასაძლიერებლად საგნის ლექტორებმა, სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე, შეცვალეს სემესტრული მეორე შუალედური წერითი შეფასების ფორმა პრეზენტაციით. შესაბამისად, დაწესებულებმა რეკომენდაცია გაითვალისწინა. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის განთავსებას ბიბლიოთეკაში, რომელიც უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისი თქმით, სტუდენტისთვის სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული თუ პროფესიულად საჭირო და გამოსადეგი ლიტერატურის მოძებნა შესაძლებელია ელექტრონული კატალოგებით საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ვებგვერდზე, უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე, ასევე საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებში. ამას გარდა, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის თანახმად, თსუ ბიბლიოთეკა ადასტურებს, რომ შესაძლებელია პროგრამული საჭიროებების უახლესი რუსულენოვანი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის გამოწერა-შეძენა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი თხოვნის საფუძველზე, თსუ-ს ბიბლიოთეკამ გადაამოწმა, რომ საანგარიშო პერიოდში განახლებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა დასტურდება საბიბლიოთეკო ფონდში. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა „თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობის გადახედვას. მისი თქმით, პროგრამის განმახორციელებელი

ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია და „თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია“ სასწავლო კურსის შინაარსის კრიტიკული გადახედვის შემდეგ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „რუსული ფილოლოგია“ სავალდებულო სასწავლო კურსზე „თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია“ დაშვების წინაპირობად განისაზღვრა პროგრამის სავალდებულო საგანი „რუსული ენა 4“. ამრიგად, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, დარეჯან გარდავაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სლავური ენებისა და ლიტერატურის კლასტერის ნაწილი იყო. პროგრამამ მიიღო ერთწლიანი ანგარიში. შესაბამისად, რეალურად ამ წლის მანძილზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ნამდვილად ეცადა, რომ არცერთი რეკომენდაცია და რჩევა რეაგირების გარეშე არ დაეტოვებინა. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო პირველ სტანდარტზე. პროგრამის მიზნები და შედეგები დაიხვეწა. განახლდა პროგრამის შედეგების რუკა. ასევე რიგი ცვლილებები მოხდა სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:17
დასრულებისდრო: 16:18

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „რუსული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2^{1} - მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „რუსული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სლავური ფილოლოგია
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სლავური ფილოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი - 0231 ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ირინა ლობჟანიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო შვიდი რეკომენდაცია და თორმეტი რჩევა. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია რუსული ფილოლოგიის მოდულის მიზნები მოვიდეს თანხვედრაში „რუსული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარების“ მიზნის მიღწევის რეალისტურობასა და საჭიროებებთან (მაგ. მთარგმნელობითი უნარების თემატიკის დამატების მეშვეობით).“ მან აღნიშნა, რომ დოკუმენტების შესწავლის გზით გამოვლინდა, რომ 2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო აღნიშნული, რომ უნარების განვითარება ეხებოდა სამაგისტრო კურსებს. ოქმების მიხედვით პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა განიხილა ზემოხსენებული რეკომენდაცია და განაახლა ზოგიერთი საბაკალავრო და არა სამაგისტრო კურსის სილაბუსი. სამაგისტრო კურსების სილაბუსების შემოწმებისას კი გამოვლინდა, რომ რუსული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარება ხდება „რუსული ბიზნესკომუნიკაციის“ კურსის ფარგლებში, ხოლო დანარჩენ კურსებში არაა გათვალისწინებული კომუნიკაციური ან მთარგმნელობითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული რაიმე სპეციალური თემები. შესაბამისად, ამ ეტაპზე რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ და მისი შესრულების სრულყოფილი შემოწმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მომავალში სამწლიანი ანგარიშის წარმოდგენის დროს. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა არსებული სასპეციალიზაციო მოდულების მიერ სწავლის შედეგების თანაბარი უზრუნველყოფით მიღწევას ენის დაუფლების ნაწილში. ასევე მოდულის სწავლის შედეგებში გაწერილ უნდა იქნას ენის ფლობის დონე, რათა ცხადად დადგინდეს მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან. უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. ეს საკითხი შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიან

პერსპექტივაში იყო განხილული, რადგან მოდულებს ენის ცოდნის სხვადასხვა წინაპირობა ახასიათებთ. თავად პროგრამის აღწერილობაში, არც მის სტრუქტურაში არ ფიქსირდება, თუ კონკრეტულად ენის ფლობის რომელ დონეზე გადიან კურსდამთავრებულები თითოეული მოდულის არჩევისა და დასრულების შემთხვევაში. ახლაც პროგრამა აღნიშნულ ინფორმაციას არ მოიცავს. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სახელმძღვანელოთა ნაწილის გადახედვას და განახლებას. ასევე მოძველებული სახელმძღვანელოების ჩანაცვლებას, ზოგ შემთხვევაში კი სახელმძღვანელოს დამატებას, რომელიც უკეთ იქნებოდა მორგებული კურსის სპეციფიკას. გარდა ამისა, უნდა გადამოწმდეს ყველა იმ ელექტრონული ბმულის ვალიდურობა, რომელიც სილაბუსებშია წარმოდგენილი. მისი თქმით, 2023 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ „ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას (თარგმანის პრაქტიკული კურსები, რუსული ენის ფუნქციონალური გრამატიკის საფუძვლები).“ ვინაიდან პროგრამის სტრუქტურაში არ ფიქსირდებოდა კურსი სახელწოდებით „რუსული ენის ფუნქციონალური გრამატიკის საფუძვლები“, შეუძლებელი იყო მისი შემოწმება. ასევე შეუძლებელი იყო თარგმანის პრაქტიკული კურსის შემოწმება რუსული ენის მიმართულებით, კურსის არ არსებობის გამო. შესაბამისად, მოხდა მხოლოდ შემდეგი სილაბუსების შესწავლა: „პრაქტიკული კურსი პოლონურიდან თარგმანში“, „პრაქტიკული კურსი უკრაინული ენიდან თარგმანში“ და შედარება 2023 წელს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ამავე კურსების სილაბუსებთან და გამოვლინდა, რომ სავალდებულო ლიტერატურის განახლება არ მომხდარა. „ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების“ კურსის სილაბუსის შემოწმებისას, ასევე, გამოვლინდა, რომ ლიტერატურაში მითითებული ერთი ბმული ვალიდური არ იყო. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ არ შეასრულა. ამრიგად, უნივერსიტეტმა შვიდი რეკომენდაციიდან ოთხი სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტ ირინა ლობჟანიძეს არ უმუშავია სააკრედიტაციო პერიოდში ამ პროგრამაზე. შესაბამისად, გასაკვირი არ იყო ის ფაქტი, რომ მას რამდენიმე საკითხზე გაუჩნდებოდა კითხვა, კერძოდ, იმ რეკომენდაციაზე, რომელიც წერითი და ზეპირი კომუნიკაციების უნარების განვითარებას ეხებოდა მთარგმნელობითი და პრაქტიკული ენების სილაბუსების და ფუნქციონალური გრამატიკის სილაბუსების გადახედვის მიზნით. მისი თქმით, მთარგმნელობითი უნარების განვითარება და ენის პრაქტიკული კურსები საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი კურსებია. წინა აკრედიტაციის დროს მოხდა ამ კურსების სილაბუსების დამუშავებაც და ცვლილებებიც. შესაბამისად, ამიტომ ვერ მოხდა ფუნქციონალური გრამატიკის სილაბუსის მიწოდება ექსპერტისათვის, რადგან ის საბაკალავრო. არაერთხელ ყოფილა ისეთი ფაქტი, რომ საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაცია, სამაგისტრო პროგრამის მიმართაც გაცემულიყო. სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ახლა. სამაგისტრო პროგრამაში ასეთი უნარების გასავითარებლად ცალკე კურსები არ არსებობს. ეს ხდება დარგობრივად და თითოეულ კურსში ინტეგრირებულია აღნიშნული უნარები. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ერთი სილაბუსი ამის ნიმუშად წარმოდგენილი იყო, თუმცა პროგრამაში არის ისეთი კურსებიც, რომლებიც ასეთივე უნარებს ავითარებს. მაგალითად, „საგაზეთო პუბლიცისტური ტექსტების ლინგვისტური ექსპერტიზა“, „თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები“ და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ენის ფლობის დონეების განსაზღვრას სამ მოდულში. დარეჯან გარდავაძის თქმით, ერთნაირი დონის განსაზღვრა ამ სამ მოდულში შეუძლებელია. თვითშეფასებაში, რომელიც დაწესებულებამ სააკრედიტაციოდ წარადგინა, დეტალურად იყო მოცემული ამისი ახსნის მიზეზები. სლავური ფილოლოგიის პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან, კერძოდ, რუსული, უკრაინული და პოლონური ფილოლოგიისაგან.

უკრაინული და პოლონური ფილოლოგია სამაგისტრო დონეზე კვალიფიკაციას ანიჭებს სტუდენტს. სრული ფილოლოგიური პროგრამის ქვედა განათლება არც უკრაინულ და არც პოლონურ ფილოლოგიაში არ არსებობს. რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა დაწესებულებას არჩევითი კურსების სახით აქვს წარმოდგენილი, ხოლო სამაგისტრო დონეზე სტუდენტს აქვს საშუალება, რომ სპეციალიზაცია მიიღოს აღნიშნულ მოდულებში. ბუნებრივია ამ მოდულებს ვერ ექნებოდა ისეთი განვითარების ისტორია და ენობრივი მომზადება, როგორიც რუსულ ფილოლოგიას ჰქონდა. სამაგისტრო პროგრამაში კონკრეტული ენის ფლობის დონეზე გასვლა არ არის უნივერსიტეტის მიზანი. დაწესებულება სამომავლოდ ფიქრობს უკრაინული და პოლონური მოდულების უფრო მეტად განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

დაწყების დრო: 16:36
დასრულების დრო: 16:43
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, აკრედიტაციის საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით, 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტი
რეკომენდებულია რუსული ფილოლოგიის მოდულის მიზნები მოვიდეს თანხვედრაში „რუსული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარების“ მიზნის მიღწევის რეალისტურობასა და საჭიროებებთან (მაგ. მთარგმნელობითი უნარების თემატიკის დამატების მეშვეობით).

1.4 კომპონენტი
რეკომენდირებულია, არსებული სასპეციალიზაციო მოდულები თანაბრად უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას ენის დაუფლების ნაწილში, ასევე მოდულის სწავლის შედეგებში გაწერილ იქნას ენის ფლობის დონე, რათა ცხადად დადგინდეს მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

1.5 კომპონენტი
რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს სახელმძღვანელოთა ნაწილი, ჩანაცვლდეს

მოძველებული სახელმძღვანელოები, ზოგ შემთხვევაში კი დაემატოს სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ იქნება მორგებული კურსის სპეციფიკას, გადამოწმდეს ყველა იმ ელექტრონული ბმულის ვალიდურობა, რომელიც სილაბუსებშია წარმოდგენილი.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 16:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ელექტრონული ფონდი